



სააღრიცხვო პოლიტიკა

ბრძანება

2017 წლიდან შპს „პი და ჯი ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ვამტკიცებ

დირექტორი



შპს „პი და ჯი ჯგუფი“

ჯამბულ ქობაღია

„30“ დეკემბერი 2017 წ.

შპს „პი და ჯი ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „პი და ჯი ჯგუფი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2007 წლის 16 თებერვალს, რეგისტრაციის №760/503399.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი კოსტავას -17

საიდენტიფიკაციო კოდი: 216435294

1. ზოგადი დებულებები

1.1. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით;
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.2. წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმა-ტიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

–საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;

– ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

1.3. წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან.

1.4. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

2. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

2.1. ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმა. კერძოდ, კომპიუტერული პროგრამა „ორის – ბუღალტერიის“ მეშვეობით.

2.1.1. საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე-ანგარიშები.

2.2. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

– ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, განბაუების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

– ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღრიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

– ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

2.3. სხვა აქტივების აღრიცხვა

– მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში;

– სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

2.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

– სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი;
- სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო-შეწონილი“;

2.5. საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტაღონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტაღონები აღირიცხება განცალკევებულად სხვა მიმდინარე აქტივების ანგარიშზე. ტაღონები ანგარიშვალდებულ პირებზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში.

საწვავი სატვირთო ავტოფურგონებზე ჩამოიწერება სასაქონლო ზედნაღების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

2.6. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;
- მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე;
- სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

2.7. მოთხოვნების აღრიცხვა

- მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად;

2.8. ვალდებულებების აღრიცხვა

- ვალდებულებები საქონლის მომსახურების მომწოდებლების მიმართ: მეკავშირე საწარმოს, ურთიერთდამოკიდებული პირების, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აღირიცხება გამიჯნულად;

2.9. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საწარმოს კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და 200ლარს (ორასი) ლარს შეადგენს;
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

2.10. ინვესტიციების აღრიცხვა

- მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით;
- გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით.

2.11. შემოსავლების აღრიცხვა

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

2.12. ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

2.13. ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

3. მოგება-ზარალი:

3.1. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საწარმოს რეინვესტირებისათვის;
- სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.2. მოგების გადასახადი:

- მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

შპს „პი და ჯი ჯგუფი „ (216435294)
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	2023წელი	2022წელი	2021წელი
	2023	2022	2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	117,031	20,652	43,533
საფაქრო მოთხოვნები	1,775,540	1,799,422	1,613,484
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	-	-	-
მარაგები	1,817,875	3,566,274	1,535,944
- შხა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	1,817,875	3,566,274	1,535,944
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	62,030	75,359	161,862
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	350,870	412,900	487,900
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	4,123,346	5,874,607	3,842,707

ვალდებულებები			
	0	0	0
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
საფაქრო ვალდებულებები	1,310,163	3,725,087	2,606,295
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	812,780	965,250	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	2,122,943	4,690,337	2,606,295

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,000,203	1,184,070	1,236,212
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	2,000,403	1,184,270	1,236,412
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,123,346	5,874,607	3,842,707

დირექტორი:

ჯ.ქობალაძე



მთავარი ბუღალტერი :




ნ. აბულაშვილი

საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი 2023	საანგარიშგებო პერიოდი 2022	საანგარიშგებო პერიოდი 2021
ნეტო ამონაგები	12,976,465	9,481,758	12,695,738
საქონლის გაყიდვიდან	12,976,465	9,481,758	12,695,738
მომსახურების გაწევიდან		-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(11,213,707)	(8,141,267)	(11,411,275)
საწყისი მარაგები	3,566,274	1,535,944	1,615,415
მარაგების შესყიდვა	9,465,308	10,171,597	11,331,804
გადამუშავების დანახარჯები	-	-	-
საბოლოო მარაგები	1,817,875	3,566,274	1,535,944
საერთო მოგება	1,762,758	1,340,491	1,284,463
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(301,189)	(314,064)	(352,255)
ცვეთა და ამორტიზაცია	(62,030)	(74,200)	(111,350)
საპროცენტო შემოსავალი:	-	-	-
საპროცენტო ხარჯი :			
იჯარის ხარჯი	(82,180)	(99,503)	(125,655)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(359,363)	(620,656)	(626,972)
სულ საოპერაციო ხარჯები	(804,762)	(1,108,423)	(1,216,232)
საოპერაციო მოგება	957,996	232,068	68,231
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	957,996	232,068	68,231
მოგების გადასახადი	-	-	-
მოგება/(ზარალი)	957,996	232,068	68,231
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	957,996	232,068	68,231
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	957,996	232,068	68,231
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,184,270	1,236,412	1,168,181
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(141,863)	(284,210)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,000,403	1,184,270	1,236,412

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი :



ფულადი სახსრების მოძრაობა

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი 2023	საანგარიშგებო პერიოდი 2022	საანგარიშგებო პერიოდი 2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	96,379	(22,881)	(1,317)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	96,379	(22,881)	(1,317)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20,652	43,533	44,850
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	117,031	20,652	43,533

0

0

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

ჯ.ქობაღია



ნ.აბულაშვილი

